

დედასამშობლოს — ქართული ჩაი — უხვი და მაღალხარისხოვანი!

მეათე ხუთწლედის პირველ წელს ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, მთელი ენერგიით ვიბრძოლოთ ქართული ჩაის ღირსებისათვის!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 10 აპრილი № 83 (16513) ფასი 2 კაპ. 1976

დღეს ქუთაისში გაიმართება მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება.

ეფექტიანობის და ხარისხის ხუთწლედში ახალი ზღუდეებისათვის, ჩვენო გმირო მეჩაიეებო!

სიტყვა საქმით დავამშვენოთ

საქართველოს მშრომელები, ისე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ღრმად, „საფუძვლიანად ხწავლობენ და მთლიანად უჭერენ მხარს ხკკპ XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს, სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლების ძირითად მიმართულებებს, უფრო ნათლად ეცნობიან ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური პროგრესის წყაროებს და რეზერვებს, ხუთწლედის ძირითად ამოცანებს.

ეს დებულებები, დასკვნები და ამოცანები ახლა საფუძველთა საფუძველია იმისა, თუ როგორ უნდა ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ ქვეყნის დიდებული მომავლისათვის, სამშობლოს ძლიერებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის. იგი დადო საფუძვლად საქართველოს სსრ მშრომელთა 1976 წლის სოციალისტურ ვალდებულებებს.

ეს სოციალისტური ვალდებულებანი პირველ რიგში ითვალისწინებენ:

— შეესრულოთ ფლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის, გევმის გადაჭარბებით გამოვუშვათ 135 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის სულ ცოტა 65 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

— გაეზარდოთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 6 პროცენტით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,7 პროცენტისა...

— გაეადიდოთ შრომის ნაყოფიერება 1975 წელთან შედარებით 5 პროცენტით ნაცვლად დაგეგმილი 4,5 პროცენტისა...

— მიეყიდოთ სახელმწიფოს მარცვლეული 130 ათასი ტონა, უურძენი 430 ათასი ტონა, ხილი — 305 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 325 ათასი ტონა...

და კიდევ მრავალი სხვა ფრიად მნიშვნელოვანი, ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებია დასახული ჩვენს პატრიოტულ ვალდებულებებში, ჩვენს სამოქმედო პროგრამაში, რომელიც წლეულს უნდა შეესრულოთ.

სიტყვა — ათასჯერ აწონილ-აზომილი, მოამაგე, მშრომელი კაცის სიტყვა უკვე ნათქვამი გვაქვს... ახლა მთავარია პრაქტიკული საქმე... გონებისა და მკლავის ძალა. დაკაპიწებული ხელების მაღლი, ოფლიანი შუბლისა და პატრიოტი გულის მთელი შემართება მოვაბმაროთ ნაკისრი ვალდებულებათა პირნათლად შესრულების სახელმწიფოებრივ ამოცანას, ჩვენი პირობა დავამშვენოთ გმირული შრომით, კონკრეტული საქმეებით.

ეს თვითეული ჩვენგანის ღირსებისა და სახელის საქმეა, ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟის საქმეა, ჩვენი სამშობლოს ძლიერების, ბერძენად ჩვენი ბედნიერი ცხოვრების უმრტი წყარო.

„გეგმები, რომლებიც ყრილობამ მოიწონა, — ძნელი, დაძაბული გეგმებია, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ამოცანები, რომლებიც მან დასახა, მეტად სერიოზული ამოცანებია — მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამხანაგებო, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეს გეგმები განხორციელდება, ეს ამოცანები გადაწყდება“.

ეს მსჯელობა, ეს ღრმა ანალიზი მოვლენებისა სიცოცხლისუნარიანია, მაღალეფექტურია, რადგან მას თან სდევს ცოცხალი ქმე. გასულმა სამმა თვემ ღირსეულად ჩაებარა გამოცდა. ყრილობამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშათა კლასის, კოლმეურნე ელეხობის, ინტელიგენციის აღმშენებლობითი ენერგია. ფართო გასაქანი მისცა ყველა პატრიოტულ ხალხეს, თანსწობას, ინიციატივას... რედაქციაში ყოველდღე მოდის სასიხარულო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციები, როგორ აწყობენ მასებში ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას იმისათვის, რომ ყველგან გავრცელდეს და დაინერგოს საყურადღებო წამოწყებანი, რომლებმაც საკავშირო აღიარება დაიმსახურეს... ასეთივე დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე პაოუოელ მანქანათმშენებელთა, რუსთავის მეტალურგთა და ქუთაისელ ავტომშენებელთა, თბილისის ფოლად-თუჯსამსმელო ქარხნის მუშაკის — სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის მეკოპეთა ბრიგადის თანსწობათა ფართოდ დანერგვას, რომლებიც არსებითად უწყობენ ხელს წარმოების ეფექტიანობასა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

დიდი ამოცანებმ დგას წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე.

მკაცრმა ზამთარმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ვენახებს, რაც ქმნის საფრთხეს, რომ ვერ შესრულდეს ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმები. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა დიდი, დაძაბული მუშაობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ღრმა ანალიზი გაუკეთეს ამ მდგომარეობას და მიიღეს საგანგებო ღონისძიებანი ყინვით დაზიანებული ვენახების აღდგენისა და მდგომარეობის გაუჯობესებისათვის.

ახლა მთავარია ამთავითვე ყველამ გულთან ახლოს მივიტანოთ ეს საშვილიშვილო საქმე, აღმოვჩნდეთ მოწოდების სიმაღლეზე, ფრთოდ გამოვიყენოთ შარშანდელი გამოცდილება, კვლავ მივაშველოთ ვაზს მოამაგე ხელი არა მარტო მეზვრისა, არამედ ყველა ჩვენგანისა და, რადაც უნდა დაგვიჯდეს, შევასრულოთ ხალხისათვის, მარტივისათვის უკვე მიცემული სიტყვა.

ღღეს, ქუთაისში გაიმართება მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება. შარშან ჩვენმა მეჩაიეებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი. მოკრძალებულ და სახელმწიფოს მიეყიდეს 334 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

წელს ჩვენი მეჩაიეთა ვალდებულებაა ხარეკორდო იყოს ჩაის კრეფისა და გადამუშავების რაოდენობაც და ხარისხიც.

ეს ძალიან დიდად თავდადებულ, დაძაბულ შრომას მოითხოვს. ყველა მეჩაიე, ჩაის მრეწველობის ყველა მუშაკი თავის უპირველეს მოვალეობად უნდა თვლიდეს ქართული ჩაის ხარისხის გაუჯობესებას, მისი ავტორიტეტის ამაღლებას ყველა მომხმარებლის თვალში.

ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პლანტაციაშიც და ჩაის ფაბრიკაშიც ერთნაირად იქნებიან დაინტერესებული ამ საშვილიშვილო საქმით. სწორედ ამაზე მოგვითხრობს დღეს ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე ტყიბულის ზონის ორპირის კოლმეურნეობისა და ორპირის ჩაის ფაბრიკის მშრომელთა წერილი.

საქართველოს სსრ მშრომელთა 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებანი დაძაბული, მაგრამ რეალურია. ისინი მთავრდება ასეთი სიტყვებით: საქართველოს სსრ მშრომელები, რომელნიც მეათე ხუთწლედის პირველი წლის გადიდებულ ვალდებულებას ვკისრულობთ, აღვუთქვამთ ხკკპ ცენტრალურ კომიტეტს, კოლეგიალურს და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ დაუცხრომლად ვიშრომებთ აღმშენებლობის იმ დიდებული პროგრამის შესასრულებლად, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ შეიმუშავა.

ეს არის ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის დიდი პატრიოტული ფიცი და იგი პრაქტიკული საქმით, თავდადებული შრომით უნდა დავამშვენოთ.

11 აპრილს

სასახლე ბოსპორეთა აჩრდილვნებია

ყველანი არჩევნებზე

მზად არიან

თელავი. (საკ. კორ.). არჩევნებისათვის მზადება დამთავრდა. ყველა საარჩევნო უბანში (ასეთი კი რაიონში ორმოცია) ფართო მუშაობა იყო გაჩაღებული.

დიდი მუშაობა გასწიეს აგიტკოლექტივებმა და ამომრჩეველთა კლუბებმა. აგიტატორები ამომრჩევლებს აცნობდნენ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების გ. მაღრაძისა და ლ. ბოჭორიშვილის ბიოგრაფიებს, მათს დამსახურებას, შრომითს საქმიანობას.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადებამ აღმავლობით ჩაიარა ქ. თელავის, აგრეთვე წინანდლის, აკურის, კონდოლის, ლაფანყურის, ნაფარეულისა და სხვა სოფლების საარჩევნო უბნებში.

ა. თვალიაშვილი.

ამომრჩეველთა განაწესი

დუშეთი. (საკ. კორ.). აქ განსაკუთრებული აქტივობით ემზადებიან სახალხო მოსამართლის არჩევნებისათვის. კარგად აწყობდნენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ამომრჩეველთა შორის ფანასაურის, მაღაროსკარის, ეპოორტის, მჭადიჯვრისა და დუშეთის აგიტპუნქტებში.

ამასწინათ დაბა ფასანაურის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს დუშეთის სახალხო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს ი. ებრაელიძეს.

ამომრჩეველებმა მოსამართლეობის კანდიდატს ი. ებრაელიძეს მიესცეს განაწესი მტკიცედ დაიცვას საბჭოთა კანონმდებლობა, უნარიანად გადაჭრას სამართლის რთული საკითხები, კანონის მთელი სიმკაცრით ებრძოლოს საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებლებს და იმათ, ვინც ხელყოფს საბჭოთა ადამიანის ღირსებას.

ა. თოდუაძე.

ბილისი ორჯონიკიძის რაიონი. № 14 საარჩევნო უბანი მზად არის ამომრჩეველების მისაღებად. ამ სურათზე აღებულია საარჩევნო უბნის აგიტატორები. მარცხნიდან — ა. ჩერქეზიშვილი, დ. გუჯაბიძე, ნ. ვაშაკიძე, გ. ჭიჭაშვილი, ე. კელენჯერიძე და ნ. რინდია.

ს. კილაძის ფოტო.

17 აპრილი ლენინური შაგათობის დღეა

ინიციატორთა მაგალითით

თბილისი. დამკვრელურად აღვნიშნოთ შაბათობის დღე, — დედაქალაქის კიროვის რაიონში ამ დევიზით პირველი გამოეხმაურნენ მოსკოველთა თაოსნობას ელექტრომშდუღებელ მოწყობილობათა ქარხნის, ტყავის საწარმოო გაერთიანების, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“, № 2 სატრიკოტაჟო ფაბრიკის და სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ კოლექტივები. ინიციატორებმა ვალდებულება იკისრეს შაბათობის დღეს 180 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადონ, გამოუშვან 35 შესადუღებელი აპარატი, 27 ათასი ცალი სატრიკოტაჟო ნაწარმი, 460 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავნედლეული და ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ ათი ათას მანეთზე მეტი.

ინიციატორებს შხარი დაუჭირა რაიონის ყველა საწარმომ და ორგანიზაციამ. შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს რაიონის 206 კოლექტივი — 21 ათასზე მეტი კაცი.

აღსანიშნავია, რომ რაიონის ორმა საწარმომ ვალდებულება იკისრა შაბათობის დღეს ოთხი თვის დავალება შეასრულოს, ხოლო ამდენივე კოლექტივი დაზოგილი მასალებით იმუშაოებს.

(„ბრმ.“ კრრ.).

ღირსეული წვლილით

ამბროლაური. (საკ. კორ.). შაბათობას — დამკვრელური შრომა, — ამ დევიზით ემზადებიან რაიონის მშრომელები კომუნისტური შაბათობისათვის. წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში შეიმუშავეს მოქმედების კონკრეტული გეგმა.

„სამტრესტის“ ამბროლაურის საწარმოო გაერთიანების ასზე მეტმა მუშამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს შაბათობაში. ისინი გამოუშვებენ 40 ათასი მანეთის პროდუქციას, დაზოგილი ნედლეულისა და სათბობის ხარჯზე აწარმოებენ 6 ათასი მანეთის ღირებულების ნაწარმს. მეღვინეები მეათე ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 480 მანეთს.

გადიდებული ვალდებულება იკისრა მეათე საგზაო სამმართველოს (უფროსი შ. ქვევანაშვილი) კოლექტივმა. 220 მუშა-მოსამსახურე ამ დღეს შეასრულებს 3.500 მანეთის სამუშაოს, ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს 900 მანეთს. გზის მშენებლებს არც ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი ჩამორჩება, აქ 4 ათასი მანეთის ღირებულების სამუშაო შესრულდება.

შრომის ზეიმში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საკონსერვო ქარხნის, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს, „საქსოფლტექნიკის“ განყოფილების კოლექტივები.

მეჩაიე ნოვატორები

- **სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია:**

  1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება გავზარდოთ 355 ათას ტონამდე.

- **ფართოდ დავუჭიროთ მხარი ტყიბულის ზონის ორპირის კოლმეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის ერთობლივ თაოსნობას, ახალი ხუთწლედის პირველ წელს მკვეთრად გავაადიდოთ ჩაის ფოთლისა და გამოუვეებული პროდუქციის ხარისხი!**

ჩაის კრეფის სეზონში ყოველდღე ფართოფარფლებიანი ვილობის ქუდით ადრე დილიდან გვიან ხალამამდე ორივე ხელით სწრაფად კრეფს ფოთოლს ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ქეთევან გოგიტიძე (სურათზე ზემოთ).

ყოველ წელს, მისი მარჯვენით ექვსი ათას კილოგრამზე მეტი ფოთოლი იკრიფება. არის შემთხვევა, რომ ქ. გოგიტიძე დღეში კრეფს 140-150 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად 30 კილოგრამისა.

მამაცური შრომით ხახელი გაითქვა ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე-მერგოლურმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ეთერ ცირამუამ (სურათზე ქვემოთ); იგი დარსა თუ ავდარში შოდამ პლანტაციაშია და ჩაის კრეფის სეზონის დროს უდანაკარგოდ იღებს შემოსულ ფოთოლს. ამიტომ არის, რომ მის მიერ მოკრეფილ ნედლეულზე ფაბრიკის სპეციალისტებს არასოდეს საყვედური არ გამოუთქვამთ — მუდამ პირველი ხარისხისაა.

მეათე ხუთწლედის ჩაის ფოთლის მოსავლიანობის პირადი გეგმა შეესრულოთ 4 წელიწადში. — ასეთია ქეთევან გოგიტიძისა და ეთერ ცირამუას პირობა.

მათი წერილები იხილეთ ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე.

შვეიცის პრემიერ-მინისტრი მოსკოვიდან გაემგზავრა

შვეიცია პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ერის ჩამოსული საბჭოთა კავშირში, 8 აპრილს მოსკოვიდან ნოვოსიბირსკში გაემგზავრა.

იმავე დღეს შვეიცის პრემიერ-მინისტრი ნოვოსიბირსკში ჩავიდა.

ნოვოსიბირსკი, 9 აპრილი. (სატასი). შვეიცის პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე დღეს ეწინობოდა ნოვოსიბირსკს.

ნოვოსიბირსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა საუზმე გაუმართა შვეიცის პრემიერ-მინისტრს.

ამავე დღეს შვეიცის პრემიერ-მინისტრი ლენინგრადში გაემგზავრა.

7 აპრილს შვეიცის ელჩმა საბჭოთა კავშირში პერ გერან გუსტავ რეუდინგმა დარბაზობა გამართა იმის გამო, რომ სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად არის ჩამოსული შვეიცის პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე.

ოფიციალური ვიზიტით

8 აპრილს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სენეგალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სინატამბი რაჯარატნამი.

იმავე დღეს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ს. რაჯარატნამის მოლაპარაკება. (საკ.).

ჯილდო გადაეცათ ავტოქარხნელებს

ქუთაისი. (საქინფორმის კორ.). მეცხრე ხუთწლედის მაძიებლებ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივს არაერთხელ დაუკავებია საპრიზო ადგილები ქვეყნის საავტომობილო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს სოციალისტურ შეჯიბრებაში. იგი ბედნიერად 14 კვარტალია ინარჩუნებს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და საავტომობილო და მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

მეცხრე ხუთწლედში სამშობლომ ქართველი ავტომობილმშენებლებისაგან მიიღო ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მეცხრე ხუთწლედში მაღალი მაჩვენებლებისათვის ქარხანა დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ავტოქარხნის კულტურის სახლში გაიმართა კრება, რომელიც ამ საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა.

სიტყვა ეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. გილაშვილს. მან აღნიშნა, თუ რა დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ავტომობილმშენებლებმა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, შეეხო მეათე ხუთწლედისათვის დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს.

ქარხანაში ყველა ასრულებს გეგმას. საწარმოს კოლექტივს მჭიდრო კავშირი აქვს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან, რამაც შესაძლებლობა მისცა აქ დაენერგათ პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხ. გილაშვილმა ქარხნის დროშას მიაბნია შრომის წითელი დროშის ორდენი, მიულოცა მის კოლექტივს ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებანი მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

ქარხნის კოლექტივის სახელით მისმა დირექტორმა ვ. ხარებავამ მადლობა გადაიხადა სამატიო ჯილდოსათვის და განაცხადა, რომ ავტოქარხნელები მაღალი ჯილდოს პასუხად კიდევ უფრო თავრთოდ გააჩაღებენ ბრძოლას ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

საზეიმო კრებაზე ჯამოვიდნენ სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვაშაკიძე, ქარხნის მთავარი მექანიკოსი ა. მურღულია, ავტომატების საამქროს მბეჭრელთა ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. გეწაძე, თერმული საამქროს უფროსი შ. ჭოხონელიძე, ამრეშუმის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი მ. თენეიშვილი, სამსხმელო საამქროს პარტბიუროს მდივანი ჯ. ხხვედიანი, პოეტი ზ. კუხიანიძე და სხვები.

ავტომობილმშენებლებს გულთბილად მიულოცა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

8,9 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

8 აპრილის მეთაური წერილი პროფკავშირთა უმნიშვნელოვანეს საქმეებს ეძღვნება.

„ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, — წერს გაზეთი, — პროფკავშირები ასრულებენ როგორც მეურნეობის გაძლოლისა და მართვის სკოლის, კომუნიზმის სკოლის უმნიშვნელოვანეს როლს. მეათე ხუთწლედი — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი — მათ უსახავს მოქმედების ფართო პოტენციალებს, ამოუწურავ შესაძლებლობებს აქტივობის ინიციატივის გამოვლინებისათვის“...

გაზეთის მთელი მესამე გვერდი დათმობილი აქვს მკითხველთა წერილებს. რუბრიკით — „მეურნე კაცის თვალით“ აქ დაბეჭდილია გაზეთ „ხოვეტსკაია აბხაზიის“ რედაქტორის ბ. გოლუბევისა და საქინფორმის კორესპონდენტის თ. ჯიბუტის წერილი „კონვეიერი გაჩერდა“. როგორც ისინი წერენ, მართალია, უკანასკნელ ხანს საქართველოში გადიდდა ციტრუსების წარმოება, მაგრამ მზარდ წარმოებას კვალდაკვალ ვერ მიჰყვება გადამუშავებელი მრეწველობის, დამამზადებელი პუნქტებისა და სავაკრო ქსელის შეხაძლებლობები. ცხოვრებ კი გადაჭრით მოითხოვს, რომ შეუფერხებლად მუშაობდეს კონვეიერი „მოსკალის ალეგა-დამზადება-გადამუშავება“.

9 აპრილის მოწინავეში („უპირათესად გაეუძღვეთ მეურნეობას“) ნათქვამია:

„სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა: შემაცარ ესი ეკონომია უნდა დავიცვათ ყველა უბანზე, ყველა დარგში, დავაყოსოთ მოგმთხოვნელი კონტროლი მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენებისადმი, რათა შევქმნათ საჭირო რეზერვები ხუთწლიანი გეგმის რაც შეიძლება სრული რეალიზაციისათვის. მომჭირნეობისათვის ბრძოლას ყველგან მიკიცეს ეკონომიური საუფლველი უნდა ჰქონდეს. იყო მომჭირნე — ნიშნავს უფრო სრულად იყენებდე უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, სანიმუშოდ აწყობდე მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, არ უშვებდე მიწოდებაში ჩავარდნებსა და შეფერხებებს, ზუსტად ასრულებდე სახელშეკრულებო ვალდებულებებს“.

თბოელექტროსადგურები, რომლებსაც მეათე ხუთწლედში ააგებენ, მძლავრი ენერგობლოკებით აღიჭურვება. „პრავდა“ ერთხელ უკვე წერდა 1.200 ათასი კილოვატის სიმძლავრის ბერეგატის შექმნის თაობაზე. ასეთი ბლოკებისათვის საიმედო საძირკვლის ჩაყრა რთული საინჟინრო ამოცანაა. ამ ამოცანას წყვეტენ ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილია ბ. ლებანიძის საუბარი ამ ინსტიტუტის დირექტორ ბ. ჩოგოვაძესთან — „როგორ ჩაპარეს ვიბრაცია“ (რუბრიკა — „მკვლევარის გზერდით“).

ПРАВДА

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

ᲒᲕᲔᲚᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ ᲖᲘᲜᲐᲘᲓᲐ ᲙᲐᲪᲐᲩᲐᲫᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დამთავრდა სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მოსამზადებელი დიდი მუშაობა. სვალ საქართველოში, ისევე როგორც ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, გაიმართება არჩევნები.

საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზინაიდა კაკაჩაძეს სთხოვა ეპასუხნა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებზე.

— რა მოგაჩნიათ, პატივცემულო ზინაიდა, სახალხო მოსამართლეთა წლევანდელი არჩევნების თავისებურებად?

— უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მოსამართლეთა არჩევნები დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიაა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სასამართლოთა საქმიანობის გაუმჯობესებას.

სახალხო მოსამართლეთა წლევანდელი არჩევნების განსხვავებული თავისებურებაა ის გარემოება, რომ არჩევნები იმართება სკკპ XXV ყრილობის შემდეგ, რომელმაც უმაღლესი შეფასება მისცა სასამართლოთა, იუსტიციის ორგანოთა საქმიანობას, მათი მუშაკების ძნელ და სპატიო შრომას.

ამავე დროს ყრილობაზე ითქვა, რომ საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს მართლმსაჯულების, სამართლებრივი კანონიერებისა და მართლწესრიგის დონე.

სკკპ XXV ყრილობამ დასახა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების გზები.

„პიროვნების, მოქალაქეთა უფლებების ყოველნაირი განვითარებისათვის რომ ეზრუნავთ, — აღნიშნა სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ამავე დროს ჯერიან ყურადღებას ვუთმობთ საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პრობლემებს, ყველა მოქალაქის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის შესრულებას, რადგან დისციპლინისა და მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის გარეშე დემოკრატია ვერ განხორციელდება. თვითეული მოქალაქის პასუხისმგებლური მიდგომა თავისი მოვალეობებისადმი, ხალხის ინტერესებისადმი ქმნის სწორედ სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების რაც შეიძლება სრული განხორციელების, პიროვნების ნამდვილი თავისუფლების ერთადერთ საიმედო გზას“.

— სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადება დამთავრდა. რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე?

— რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის მზადება რესპუბლიკაში გასული წლის ოქტომბრიდან დაიწყო. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული მთელი მუშაობა მიზნად ისახავდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სასამართლოთა საქმიანობის გაუმჯობესებას.

დიდი ყურადღება დაეთმო ამომრჩეველთა წინაშე სახალხო მოსამართლეთა ანგარიშებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აწყობდა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირებს, რომლებზეც განიხილავდნენ სახალხო მოსამართლეების არჩევნებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა, კერძოდ, კასპის, სამტრედიისა და ქალაქ თბილისის ორკომიტეტის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოხსენებანი სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია არჩევნებისათვის მზადების წარმატებით დამთავრება.

არჩევნების დებულებით დადგენილ ადგილებში შედგენილი და გამოქვეყნებულ იქნა საარჩევნო ოლქების სიები, შეიქმნა საარჩევნო უბნები, დამტკიცდა სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიები.

სულ რესპუბლიკაში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საუბნო საარჩევნო კომისიები შექმნა. 3.055 საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიებში შევიდა 23.044 კაცი. ისინი ყველანი არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული დიდი მუშაობის აქტიური მონაწილენი გახდნენ.

საარჩევნო კამპანიის დროს მახვილგონივრულ-პოლიტიკურ მუშაობაში ფართოდ მონაწილეობდნენ კლუბები, ბიბლიოთეკები, წითელი კუთხეები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. აქ ეწყობოდა საუბრები ამომრჩეველებთან, ლექციები და მოხსენებები სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ამაღლების, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მართლმსაჯულების განხორციელების დონის ამაღლების შესახებ.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმა — რესპუბლიკის გაზეთებმა, ჟურნალებმა, ტელევიზიამ და რადიომ.

— საარჩევნო კამპანიის დროს რა როლი შეასრულეს ამომრჩეველთა არჩევნებისწინა კრებებმა?

— არჩევნებისწინა კრებებს მონაწილეებმა, რომლებზეც სახალხო მოსამართლენი ანგარიშს აბარებდნენ თავიანთ ამომრჩეველებს, მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს სასამართლოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ, ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენეს მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

— ამრიგად, არჩევნებისათვის ყველაფერი მზად არის. არჩევნები ჩატარდება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების შესაბამისად. არის თუ არა განსხვავება სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს კენჭისყრის წესში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებთან შედარებით?

— ორივე არჩევნები, როგორც ეს დადგენილია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, მიმდინარეობს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. მაგრამ სახალხო მოსამართლეების არჩევნებს, რა თქმა უნდა, თავისი სპეციფიკა აქვს. არჩევნების დებულებით, მაგალითად, გათვალისწინებულია მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიათა შექმნა. საარჩევნო ოლქებში კომისიები არ იქმნება.

საქართველოს სსრ საქალაქო (რაიონული) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება არ ითვალისწინებს საარჩევნო უბნების შექმნას სამგზავრო მატარებლებში, საავადმყოფოებსა და სანატორიუმებში. გათვალისწინებული არ არის აგრეთვე ამომრჩეველებისათვის ხმის მიცემის უფლების მოწმობის გაცემა ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში. ამიტომ ყოველი ამომრჩეველი პირადად უნდა გამოცხადდეს საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად, გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, მოიხადოს თავისი საპატიო მოქალაქეობრივი ვალი.

— როგორ დაახასიათებდით სახალხო მოსამართლეების კანდიდატების შემადგენლობას?

— არჩევნების დებულების შესაბამისად სახალხო მოსამართლეებად რეგისტრაციაში გატარებულია 168 კანდიდატი.

დამახასიათებელია, რომ სახალხო მოსამართლეების 1970 წლის არჩევნებთან შედარებით ახლანდელ არჩევნებში გაიზარდა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი ქალების რაოდენობა. 1970 წელს არჩეულ სახალხო მოსამართლეთა შორის 15,6 პროცენტი ქალი იყო, ახლა კი კანდიდატებს შორის 36 ქალია, რაც კანდიდატთა 21 პროცენტს აღემატება. სახალხო მოსამართლეების 168 კანდიდატიდან 159 კომუნისტია.

დასასრულ მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ სახალხო მოსამართლეთა არჩევნები ჩაიგლის ზუსტად და ორგანიზებულად, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის გითარებაში და კვლავ ცხადყოფს სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების გამარჯვებას.

ეჭვი არ არის, რომ ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებად დასახელებულ ხალხს ღირსეულ შვილებს.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების წარმატებით ჩატარება იმის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა, რომ საქართველოს მშრომელები მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲛᲔᲢᲔᲝᲠᲘ“

1976 ᲬᲚᲘᲡ 7 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორი“. თანამგზავრის გამვლების ძირითადი ამოცანაა მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა, რაც საშუალოა ამინდის ოპერატიულ სამსახურში გამოყენებისათვის.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 906 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 863 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 81,2 გრადუსი;

— გარშემოვლის საწყისი პერიოდი — 102,3 წუთი.

თანამგზავრზე დადგმული მეტეოროლოგიური აპარატურა უზრუნველყოფს მოღრუბლულობის, დედამიწის სფეროს განათებულ და ჩრდილოვან მხარეებზე თოვლის საფარის გამოსახულების, აგრეთვე დედამიწისა და ატმოსფეროს მიერ არეკლილი და გამოსხივებული თბოენერგიის მონაცემების მიღებას.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲗᲘ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲙᲝᲠᲕᲐᲚᲐᲜᲡ!

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩილელ ხალხთან სოლიდარობის ცენტრმა მოუწოდა მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებს გააძლიერონ ბრძოლა ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის განთავისუფლებისათვის. ამავამად, ნათქვამია ცენტრის განცხადებაში, ჩილელი ხალხი მძიმე ბრძოლას ეწევა სამხედრო-ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ, თავის ქვეყანაში თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენისათვის. კარგ სამსახურს უწევს ამ ბრძოლას საერთაშორისო სოლიდარობა.

ცენტრს ჩილელ დემოკრატებთან სოლიდარობის მობილობის მთავარ ამოცანად მიაჩნია ბრძოლა ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისათვის, ხუნტის პოლიტიკური და ეკონომიური ბოიკოტის გაძლიერება, პინოჩეტის ხროვის დანაშაულობათა ფართო საერთაშორისო დაგმობა.

სტოკპოლმი. შვეიცის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ანდერსონმა მოითხოვა ჩილეს ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ, განაცხადა მან, ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ხელი შეუშალოს სახალხო ერთიანობის ხელმძღვანელთა გასამართლებას.

ოსლო. ნორვეგიის დედაქალაქის საერო სახლის დარბაზში გამართა ჩილელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის მიტინგი. მიტინგში მონაწილეობდნენ სტორტინგის დეპუტატები, სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლები, პროფკავშირთა დელეგაციები. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახლა ჩილეში გრძელდება უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრება. ტუსაღთა ზრდა სისტემად იქცა. მაგრამ, რეპრესიების მიუხედავად, ქვეყანაში იზრდება ფაშისტური რეჟიმისადმი წინააღმდეგობა.

ᲫᲔᲜᲔᲕᲐ. ჩილეს წინააღმდეგობის მხარდამჭერის შვეიცარიის ასოციაციამ გააკეთა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია ქვეყნის ხაზოგადოებრიობის შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ მზადდება ლუის კორვალანისა და სხვა ჩილელი პატიმრების გასამართლება. ასოციაციამ მოუწოდა ქვეყნის ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას გადაჭრით მოითხოვონ ყველა ჩილელი დემოკრატის განთავისუფლება.

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ. ვენესუელის მთელმა რიგმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გაზეთ „ულტიმას ნოტიხიასში“ გამოაქვეყნეს მიმართვა, რომელიც მოუწოდებს ლათინური ამერიკის ქვეყნების საზოგადოებრიობას გაძლიერონ ბრძოლა ლუის კორვალანისა და ჩილეს სხვა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის, არ დაუშვან მათი სასამართლო დასჯა.

(საკდესი).

ᲤᲐᲥᲢᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲗ

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲕᲔᲜᲐ. (საკდესი). აქ გაიმართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე 19 ქვეყნის დელეგაციათა მორიგი პლენარული სხდომა, რომელზეც გამოაცხადეს სამშაბათ შესვენება მაისის შუა რიცხვებამდე. სხდომაზე განსახილველ გააკეთეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა.

თანამედროვე პირობებში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრების შემდეგ ევროპას კონტინენტზე დაძაბულობის შეწყვეტის ამოცანას განსაკუთრებული აქტუალობა მიენიჭა. იზრდება ინტერესი ვენის მოლაპარაკებისადმი. ამიტომ აქ კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკების განვლილი რაუნდი მიმდინარეობდა უფრო აქტიურად, ხოლო დისკუსიები უფრო კონკრეტულ, პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა.

ეს, როგორც აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელმა ტ. ლაგოდამ, შესაძლებელი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების პოზიციის წყალობით, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების პრობლემას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა, რომლებიც მოლაპარაკებზე პროგრესისადმი ხელშეწყობის მისწრაფებით ხელმძღვანელობდნენ, გან�eline რაუნდის მსვლელობაში შეიტანეს ახალი დიდმნიშვნელოვანი წინადადება. იგი კარგი ურთიერთმისაღები საფუძველია და საშუალებას გვაძლევს ახლავე შევუდგეთ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირების შესახებ შეთანხმების შემუშავებას იმ ერთადერთ რეალისტურ საფუძველზე, რომ არ დაირღვევს ამ რაიონში შექმნილი ძალთა თანაფარდობა და მკაცრად იქნეს დაცული პრინციპი, რომ არც ერთ სახელმწიფოს უშიშროებას არ მიაყენონ ზიანი.

სოციალისტური ქვეყნების ახალი ინიციატივა მოლაპარაკების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო. მაგრამ ურთიერთმისაღები შეთანხმების საფუძველზე მის რეალიზაციას ხელს უშლის ნატოს ქვეყნების პოზიცია, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ ცალმხრივი სამხედრო უპირატესობა შეიქმნან.

სოციალისტურმა ქვეყნებმა გამოიჩინეს კეთილი ნება და განაცხადეს, რომ მზად არიან დადონ შეთანხმება, ახლა სიტყვა ეკუთვნით დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებმაც უფრო რეალისტური და კონსტრუქციული პოზიცია უნდა დაიკავონ.

ᲙᲝᲜᲤᲠᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲩᲘᲚᲔᲗᲘᲡ

ᲙᲔᲙᲘᲜᲘ, (საკდესი). ტანიანშეინის მოედანზე ამაწყინანდელი ამბების შემდეგ პეკინის ხელმძღვანელობამ კონტრდემონსტრაციების სერია მოაწყო როგორც თვით დედაქალაქში, ისე ქვეყნის სხვა ქალაქებში. კონტრდემონსტრაციები მიმდინარეობს ჩვეულებრივი მაოისტური ლოზუნგებით და უპირისპირდება უწინდელი დღეების მანიფესტაციებს, რომლებიც, ხელისუფალთა ოფიციალური აღიარებით, მიმართული იყო მაო ძე-დუნისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. ახლანდელ პროპაგანდისტულ კამპანიაში ახალი მომენტია უშუალო თავდასხმები დენ სიაო-პინზე.

პეკინის პრესამ და რადიომ დღეს გამოაცხადეს, რომ დედაქალაქის რევკომის თავმჯდომარე უ. დე მივიდა ჰოსპიტალში. სადაც იმყოფება 100-მდე პოლიციელი, ჯარისკაცი და მოლაშქრე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ 5 აპრილს ტიანანშეინის მოედანზე მომხდარ შეტაკებებში.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. (საკდესი). ფრანგული გაზეთის „ფიგაროს“ კორესპონდენტი, ეხება რა მაოისტთა კონტრდემონსტრაციას პეკინში, წერს: წარმოდგენა, რომელიც ქალაქის ცენტრში მოაწყვეს, მოწმობს უფრო შიშს ახალ მღელვარებათა წინაშე, ვიდრე ტრიუმფს. ხალხის აღტაცება ყალბად გამოიყურებოდა. მსვლელობა ისე „ლამაზად“ იყო ორგანიზებული, რომ ყოველდ შეუძლებელი „მაოს სასარგებლოდ სტიქიური გამოსვლა“ ყოფილიყოს.

ᲣᲙᲐᲕ მეშვიდე წელია, რაც ჩრდილოეთ ირლანდიაში მყარდება „შვიდობა და წესრიგი“ მახობრივი ჩხრეკითა და დაპატიმრებებით. ამ პროვინციაში სულ უფრო იზრდება ინგლისის ჯარების ქვეგანაყოფთა რიცხვი. ამჟამად ინგლისური ჯარისკაცების რაოდენობამ აქ 15 ათასს მიაღწია.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲜ: ოლსტერის ქუჩებში.

(საკდესის) ფოტო.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲢᲝᲙᲘᲝᲓᲐᲜ

უკვე დაახლოებით ორი თვეა იაპონია აფორიაქებულია საქმით მილიონიანი ქრთამების შესახებ, რომლებსაც ამერიკის კონცერნი „ლოკჰიდი“ აძლევდა სხვადასხვა იაპონელ მოღვაწეებს იმისათვის, რომ ამ ქვეყნის ბაზრებზე გზა გაეკაფა თავის ქარხნებში გამოშვებული თვითმფრინავებისათვის. „ლოკჰიდის“ საქმე იაპონიის კუნძულებზე მთელ ომისშემდგომ წლებში უდიდეს პოლიტიკურ სკანდალად გადაიზარდა, ვინაიდან ამ ბინძურ ამბავში გარეული აღმოჩნდნენ არა მარტო საქმიანი წრეების წარმომადგენლები, არამედ მთავრობის თანამდებობის პირებიც და მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები.

სკანდალმა 12 მილიონი დოლარის გამო, რაც თავის დროზე „საკომანიო“ თანხების სახით მიუციათ „ლოკჰიდის“ იაპონელი კონტრაგენტებისათვის, თვალნათლივ ცხადყო, რომ კორუფციამ ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ სფეროებშიც კი შეაღწია.

ამჟამად წარმოებული გამოძიების ცენტრშია ვინმე ეისიი ო კოდამა, მემარჯვენე მოღვაწე, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია როგორც ბიზნესის სამყაროსთან, ისე ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან. მას ბრალი ედება „ლოკჰიდისაგან“ 7 მილიონი დოლარი ქრთამების აღებაში, აგრეთვე იმაში, რომ თავს არიდებდა გადასახადების შეტანას. საგამძიებლო ორგანოების ყურადღება მიპყრობილია აგრეთვე მსხვილი კომპანია „მარუბენისა“ და სხვა ფირმების ხელმძღვანელებისადმი, რომლებსაც წილი უდევთ „ლოკჰიდის“ მაქინაციებში. მაგრამ ამ სკანდალური საქმის ნამდვილი მთავარი მოქმედი პირები არიან გაელენიანი პოლიტიკური მოღვაწენი მთავრობა ბანკიდან. მათი კულისებიდან მზარდაჭერით იყო, რომ „ლოკჰიდის“ „ფ-104-ჯეი“ ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენები და „ტრაისტარ“ საგზაური თვითმფრინავები შესყიდულ იქნა იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამოქალაქო ავიაციისათვის. და სწორედ ეს მოღვაწენი დღემდე ჩრდილში ჩრბებიან.

როგორც იაპონიის გაზეთები წერდნენ, „ლოკჰიდის“ საქმეში გარეულია კ. სანო, იაპონის ყოფილ პრემიერ-მინისტრ კ. ტანაკას ახლო მეგობარი, მძლავრი მეწარმე, რომლის საკუთრებაში ან კონტროლქვეშ იმყოფება 80-მდე კომპანია. სკანდალში, პრესის მონაცემებით, წილი უდევს თვით კ. ტანაკასაც, რომლის განკარგულებითაც, როცა ის პრემიერ-მინისტრი იყო, 1972 წელს დაიდო გარიგებანი ამ ფირმასთან. საეჭვოა შემთხვევითი იყოს, რომ „ლოკჰიდისაგან“ ფული მიიღეს იაპონელმა შუამავლებმა და გადაეცათ შესაბამის პირებს მთავრობაში და მმართველ პარტიაში იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების წინ, რასაც მოჰყვა გამარჯვება ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისა, რომელსაც იმ დროს სათავეში ედგა კ. ტანაკა.

იაპონური პრესის ცნობებით, ამერიკის მხარის განკარგულებაშია სია, რომელშიც შედის „ლოკჰიდის“ საქმეში გარეული 40-ზე მეტი იაპონელი თანამდებობის პირი. მაგრამ მათი სახელები მაინც... დღემდე გამოქვეყნებული არ არის. საზოგადოებრიობის ზემოქმედებით, რომელიც მოითხოვს, რომ ვაშინგტონისაგან მიღებულ იქნას ყოვლისმომცველი ინფორმაცია ამ საქმეზე, იაპონის პარლამენტის ორივე პალატამ მიიღო შესაბამისი რეზოლუციები. ამ რეზოლუციების შესაბამისად იაპონის პრემიერ-მინისტრმა ტ. მიკიმ 24 თებერვალს აშშ პრეზიდენტს ჯ. ფორდს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც სთხოვა გადაცეს ყველა ცნობა „ლოკჰიდის“ საქმეში იაპონის ოფიციალურ პირთა თანამონაწილეობის შესახებ. ვაშინგტონის პასუხი მიღებულ იქნა მხოლოდ 12 მარტს. მაგრამ მასში არ იყო „ლოკჰიდთან“ დაკავშირებულ სკანდალში გარეული იაპონელ მოღვაწეთა სია, არამედ მხოლოდ ლაპარაკი იყო ამერიკის მხარის მზადყოფნაზე შეიმუშაოს იაპონის წარმომადგენლებთან ერთად ასეთი მონაცემების წარდგენის პირობები. ეს პირობები იმით განსაზღვრება, რომ საიდუმლოდ შეინახონ ცნობები, რომლებიც იაპონიას ეხება. იაპონიის მთავრობა საჩქაროდ დაეთანხმება აშშ-ის პირობებს.

იაპონიის კომუნისტურმა, სოციალისტურმა და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა ეს მიიჩნიეს მანევრად, რომლის მიზანია მიაფარჩონ სკანდალური საქმე, და მოითხოვეს, რომ მთავრობამ შეერთებული შტატებისაგან მიაღწიოს „ლოკჰიდის“ საქმეზე მთელი მასალების გამოქვეყნებას. ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ მმართველ პარტიას არა სურს შუქი მოჰფინოს ამ საქმის იმ მხარეებს, რომლებიც ეხება იაპონიის ოფიციალურ პირებს, ოპოზიცია უკვე მეოთხე კვირაა ბოიკოტს უცხადებს პარლამენტის სესიას. პარლამენტის მუშაობა პარალიზებულია.

პოლიტიკური მეთვალყურეობა, შეფასებას აძლევენ რა იაპონიისა და ამერიკის მთავრობათა პოზიციას „ლოკჰიდის“ საქმეზე, იმ ლოგიკურ დასკვნამდე მიდიან, რომ ორივე მხარეს სურს მიჩქმალოს ეს აფეთრა. მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ცდილობს დამალოს, რომ იაპონიის ოფიციალურ პირებს წილი უდევთ ამ სკანდალში, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მისთვის ფრიად საშიში შედეგები პარლამენტის ქვედა პალატის წელს მოსალოდნელ არჩევნებში. რაც შეეხება აშშ-ის მთავრობას, როგორც იაპონიის ყველაზე დიდი გაზეთი „ასახი“ აღნიშნავდა, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იაპონიაში პრომეთეანული მთავრობის შენარჩუნებას. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, თუ რატომ იკავებს თავს ვაშინგტონი იაპონელი მოღვაწეებისათვის „ლოკჰიდის“ ქრთამების საქმეზე ყველა მასალის გამოქვეყნებისაგან. მეთვალყურენი აყენებენ იმის მეორე მიზეზსაც, თუ რატომ სურთ ამერიკის ხელისუფალთ მიაფუჩეჩონ სკანდალი. მაგალითად, რეიტერის საგაზეთო კორესპონდენტი ტოკიოდან წერდა, რომ ვაშინგტონი მიშობს, „ამ და სხვა ამერიკული კომპანიების იაპონიაში სკანდალური საქმიანობის გამომჟღავნებამ ანტიამერიკულ განწყობილებათა ზრდა არ გამოიწვიოს და თვით სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებთან იაპონიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირისა კითხვის ქვეშ არ დააყენოსო“.

ᲜᲘᲜᲝ ᲒᲔᲠᲝᲜᲘᲜᲘ,
საკდესის კორესპონდენტი.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ. (საკდესი). პორტუგალიაში გაჩაღებულია საარჩევნო კამპანია. მთელ ქვეყანაში იმართება მიტინგები და კრებები. არჩევნების მონაწილე 14 პარტიიდან თვითეულს მინიჭებული აქვს თანაბარი უფლება გამოვიდეს ეროვნული რადიოთი და ტელევიზიით თავისი საარჩევნო პროგრამის ჩამოყალიბებისათვის.

სხვადასხვა მიმართულების გაზეთები აქვეყნებენ საარჩევნო კამპანიისადმი მიძღვნილ სპეციალურ ფამატებებს, ქუჩებში მიმონაბნეთ ხამდვილი „პარტიული პლაკატების ომი“. ეს პლაკატები გაკრულია სახლებზე, ღობეებზე, ძეგლებზე. ბევრ ადგილას მემარცხენე პარტიების, განსაკუთრებით კომპარტიის პლაკატების გაკრა საშიში ხდება, თუ გავითვალისწინებთ რეაქციონერთა მუდმივ პროვოკაციებს.

ყველა დემოკრატი და ანტიფაშისტი ერთიანი ფრონტით გამოდის რეაქციის ტერორის წინააღმდეგ ქვეყნის ბევრ რაიონში. ლისაბონში მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაციის წარმომადგენელნი შეხვდნენ პრეზიდენტ კოტა გომეშს და მოსთხოვეს დაუყოვნებლივ იხმაროს ღონისძიებები ტერორისტების წინააღმდეგ. საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ქვეყნის სხვა რაიონებში.

რევოლუციურმა საბჭომ გადაჭრით დაგმო ინციდენტები, რომლებსაც პროვოკაციულად იწვევენ რეაქცია. გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ რევოლუციური საბჭო წინააღმდეგია ძალადობის ყოველგვარი გამოვლინებისა და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. გამოიყენოს მთელ მის განკარგულებაში არსებული საშუალებანი, რათა უზრუნველყოს ყველა პორტუგალიელისათვის ნების თავისუფლად გამოვლინების უფლება დემოკრატიისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში.

ქვეყნის დემოკრატიული ძალები გამოდიან აგრეთვე ცრუმემარცხენულ დაჯგუფებათა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მოწამლონ არჩევნების ატმოსფერო. პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილება თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ უტერმემარცხენელი ორგანიზაციების პოლიტიკური პროვოკატორები თავიანთ პროპაგანდაში არ ერიდებიან „ყველაზე პრომეტეული ანტიკომუნიზმს, ამახინჯებენ პორტუგალიის კომპარტიის პოლიტიკასა და საქმიანობას, აერცელებენ სიცრუესა და ცილისწამებას“. პორტუგალიის კომპარტია მოუწოდებს ოფიციალურ ხელისუფლებს სასწრაფოდ იხმარონ ღონისძიებანი ასეთი საქმიანობის აღსაკვეთად.

ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. აქ გამოაცხადეს, რომ მოხდა გადაადგილება ინგლისის მთავრობაში, რომელსაც ნ. ჰარილს სათავეში ჩაუდგა ჯ. კალაგენი. საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი გახდა ა. კროსლენდი, რომელსაც წინათ გარემოს საკითხთა მინისტრის პოსტი ეკავა. ლეიბორისტული პარტიის მარცხენა ფრთის წარმომადგენელი მ. ფუტი, რომელიც დასაქმების საკითხთა მინისტრი იყო, საბჭოს ლორდ-თავმჯდომარე გახდა. იუწყებიან აგრეთვე, რომ მ. ფუტი ამერიდან თემთა პალატის ლიდერი იქნება გადამდგარი ე. შ

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

მოსავალი — საარეკორდო, ხარისხი — უმაღლესი!

გვახსოვდეს: ეს საქართველოს მეჩაიეთა პატრიოტული მოვალეობაა, ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟის საქმეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე მექანიზაცია — მეჩაიეთა დამხმარე

ლიდი წარმატებები მოიპოვა ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის კოლოვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისა და წარსული ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოებულია „საპატიო ნაშნის“ ორდენით. მეცხრე ხუთწლედში მეჩაიეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 10.316 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 7.809 ტონის ნაცვლად. მარტო 1975 წელს მოიკრიფა 2.550 ტონა „მწვანე ოქრო“.

წელს საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში პირველად დაიწყეს მცირე მექანიზაციის გამოყენება. ეს არის ჩაის სასხლავი მოტორიანი აპარატები ერთი და ორი კაცისათვის, ხელის ჩაის ხაკრეფი ადგილგატები. მცირე მექანიზაციის საშუალებების გამოყენებით ჩაის ფოთლის მოყვანასა და კრეფას უზრუნველყოფენ 100 ჰექტარზე. ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოსთან“, კულტივატორებთან, ჩაის სასხლავ ტექნიკასთან ერთად მცირე მექანიზაცია საშუალებას მისცემს მეჩაიეებს მკვეთრად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

სურათზე: მეჩაიეები პაპაკი შანიძე და ნანა ალია ლიტვინოვა აწარმოებენ ბუჩქების საგაზაფხულო სხვლას ახალი მოტორიანი აპარატის საშუალებით.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მიზანი: ეფექტურობა და ხარისხი!

ორპირის კოლმეურნეობის მეჩაიეთა და ჩაის ფაბრიკის მუშაკთა წერილი საქართველოს მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკებისადმი

ქართულმა ჩაიმ დაკარგა ძველი სახელი, აღარ გამოირჩევა მისთვის ჩვეული არომატით, გემოთი, „დიდი რაოდენობით შეიცავს მოუხეშავ და უხეშ ღეროებს, ფირფიტებს, ბუსუსებს. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მეჩაიეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების ცალკეულ კოლექტივთა დაუდევარი მუშაობის შედეგია. ისინი ჩაის წარმოების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად ყოველ ღონეს არ ხმარობენ ფოთლისა და მისი შემდგომი გადამუშავების ხარისხის ასამაღლებლად, ნებისმიერ თუ უნებლიეთ სახელს უტეხენ ქართულ ჩაის.

უკანასკნელ ხანებშიც რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მტკიცე ღონისძიებების გატარების მიუხედავად, ირსებითი გარდატეხა არ მომხდარა ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხისა და გადამუშავების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ჯერ კიდევ ცალკეულ მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაუსჯელად რჩება ფოთლის, „ეგ ეთქვათ, „მკაცრად“ კრეფის ფაქტები, როცა ავრწყინების დარღვევით მოკრეფილ ნედლეულში დიდი რაოდენობით ურევია უხეში ნაწილები. ეს ყოველივე იმის გამო ხდება, რომ ჯერჯერობით მრეწველობას არ გააჩნია ფოთლის დამხარისხებელი მანქანები. ეს კი მეტად უარყოფითად მოქმედებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. ამასთან ცალკეული ჩაის ფაბრიკები უარინციპობას იჩენენ იმათ მიმართ, ვინც უხეშად ანღვევს კრეფის წესებსა და მათ მიერ ასეთი გზით მოკრეფილ ნედლეულს ზოგჯერ პირველ ხარისხშიც კი იღებენ. ამას უმატებენ ნედლეულის გადამუშავებში თავიანთ უსულგულო მუშაობას. და რაღა თქმა უნდა, პროდუქციის დაბალი ხარისხის მთავარი მიზეზიც ეს არის.

უნდა ვაღიაროთ, რომ ხარისხის საქმეში ყველაფერი სრულ რიგზე არც ორპირელ მეჩაიეებს გვაქვს და იმ ნაკლოვანებებში, რაც აქ აღვნიშნეთ, მეტნაკლებად ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. კოლმეურნეობაში და ჩაის ფაბრიკაში არასრულად, ნაკლები ეფექტიანობით ვიყენებთ არსებულ რეზერვებს. არ ვეძებთ მათ დამატებით ყველგან და ყველაფერში და ისე ვფიქრობთ წარმოების ინტენსიურ განვითარებას, მით უმეტეს ხარისხის ამაღლებას.

ადრე ურთიერთკავშირის შესანიშნავი ტრადიცია იყო დამკვიდრებული კოლმეურნეობასა და ჩაის ფაბრიკის კოლექტივებს შორის. მტკივნეულ და მომავლის არსებით საკითხებს ერთად განვიხილავდით და შეერთებული ძალითვე ვწყვეტდით. დიდი ეფექტი ჰქონდა ფოთლის წარმოებისა და გადამუშავების საქმეში ურთიერთკონტროლის მეტად სასარგებლო პრაქტიკას. ყველაფერი ეს ბოლო წლებში ჯერ ნელ-ნელა შესუსტდა, ხოლო შემდგომ სულ მთლად შეწყდა. ამიტომ არის, რომ ჯერ კიდევ დიდია დაბალი ხარისხის ჩაის ფოთლის გამოშვების ხვედრითი წილი მთლიანად წარმოებულ პროდუქციაში, დაბალი ხარისხის ჩაის რეალიზაცია კი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მომხმარებელი მას უხალისოდ ყიდულობს ან სულაც არ ყიდულობს. ჩაის ფოთლის წარმოებისა და გადამუშავების დროს იმატა მთელმა რიგმა ნაკლოვანებებმა.

ახლა საწარმოო გაერთიანებები და ჩაის ფაბრიკები ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეობებს სატრანსპორტო ყუთებით, ბრეზენტებით, ნედლეულის კრეფისა და დამზადების ორგანიზაციის სხვა საკითხების მოგვარების საქმეში. წარმოების ხელმძღვანელობა და სპეციალისტები შორს დგანან კოლმეურნეობის ხელმძღვანელებისაგან და სპეციალისტებისაგან. ჩაის ფაბრიკა კოლმეურნეობას ნაკლებად ეხმარება ტექნიკით. თავის სპეციალისტებით სამუშაო პროცესების მექანიზაციის საკითხების გადაწყვეტაში.

თავის მხრივ კოლმეურნეობა მთელი გულისყურით არ ეკიდება ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად წარმართვას, სიმეჩხრის ლიკვიდაციას, ყველა სახის აგროტექნიკურ ღონისძიებათა დადგენილ ვადებში შესრულებას, ჩაის ფოთლის კრეფის დაწყებას დაუგვიანებლად და შერჩევითი კრეფის ფართოდ გამოყენებას. ამასთან ჩაის ფოთლის შესანახი დროებითი ფარდულების მოწყობას, მკრეფავების საჭირო ინვენტარით დროულად მომარაგებას, ჩაის კრეფის მთელი სეზონის პერიოდში მუშა ხელის რაციონალურად გამოყენებას, მოკრეფილი ნედლეულის დროულ ტრანსპორტირებას, ჩაის ფოთლის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას ჯერ კიდევ ნაკლები უურადღება ექცევა. მთელი პასუხისმგებლობითე ვერ ვეკიდებით ფაბრიკაში მუშახელის გაგზავნის საქმეს, ამიტომ ამ საქმეში სეროზული ნაკლოვანებებია. არც კოლმეურნეობა და არც ფაბრიკა ღარ მიმართავს ურთიერთკონტროლის ნაკად ხერხს. დავიგიწყეთ მდგომარეობის ორმხრივი შემოწმების, საინოთ ფოთლის გადაზიდვისა და კრეფის საქმეში ჯერ კიდევ არსებული უთანაბრობა, აღვკვეთავთ ჩაის ფოთლის კრეფაში დღემდე დამკვიდრებულ „იერიშობანას“ და ფოთლის კრეფას ვაწარმოებთ რეგულარულად, მთელი სეზონის მანძილზე.

იმ ვარაუდით, რომ არ დაეუშვათ ჩაის ფაბრიკის ზედმეტად გადატვირთვა მაისში და სეზონის პირველ ნახევარში, აგრეთვე გაუმართლებელი მოცდენები მეორე ნახევარში, მკვეთრად გავაუმჯობესებთ ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხს, უზრუნველვყოფთ ფაბრიკაში მაღალი ტექნოლოგიური ღონისების მქონე როგორც ბირველი ხარისხის, ისე მეორე ხარისხის ნედლეულის ჩაბარებას. შარშანდელთან შედარებით პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის რაოდენობას 3 პროცენტით გავადიდებთ.

მოკრეფილი ფოთლის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ყველა ბრიგადას უზრუნველვყოფთ საჭირო ფარდულებით, ბრეზენტებით, ამასთან ფაბრიკაში ჩაის ფოთოლს დღეში სამჯერად გადავზიდავთ. არ დაეუშვებთ სატრანსპორტო ყუთებსა და კონტეინერებში ნორმის ზევით ჩაის ფოთლის ჩაყრას და ფაბრიკისათვის დაზიანებული ნედლეულის ჩაბარებას.

იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ ჩაის ფოთლის დროული ტრანსპორტირება და მისი მაღალხარისხოვნად გადამუშავება, ფაბრიკაში სეზონის განმავლობაში მუდმივ სამუშაოდ სამეიე ცვლაში მივავლინებთ დამხმარე მუშებს საამაო რაოდენობით.

წყალტუბოს საწარმოო გაერთიანების ორპირის ჩაის ფაბრიკის სპეციალისტები, მუშა-მოსამსახურეები და მთელი კოლექტივი ცოდნასა და ენერგიას არ დაეიშურებთ, რომ წლევანდელი სეზონისათვის ფაბრიკა დროულად მოამზადოთ ნედლეულის, შეუფარებლად მიღებისა და მაღალხარისხოვნად გადამუშავებისათვის.

სრულ წესრიგში მოვიყვანთ მუშათა საცხოვრებელ სახლებს და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს, მუშათა სასადილოს და სავაჭრო ობიექტებს. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ადრების, უმთავრესად კი ელექტრომექანიკური დარგის მუშების, საამქროს მუშებისა და დამზადების პერსონალის გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას. პერიოდიულ და ცენტრალურ მომზებ ბუნჭიბს დავეკომპლექტებთ საქმის მცოდნე, საანდო ადამიანებით. აღვკვეთავთ პრაქტიკაში ყოველგვარ დარღვევებს ჩაის ფოთლის ხარისხისა და სინესტის განსაზღვრაში. მოვაწესრიგებთ აღრიცხვას.

წარმოების ყველა რეზერვის გამოვლინებისა და მაქსიმალური ეფექტით გამოყენების საფუძველზე, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით, საწარმოო სიმძლავრეების რიტმულად გამოყენების გზით უზრუნველვყოფთ მთელი დამზადებული ნედლეულის შეუფარეზლად მიღება-გადამუშავებას. პირველადი გადამუშაობის ბაიზარ ჩაის უმაღლესი ხარისხების ხვედრით წილს შარშანდელთან შედარებით 10 პროცენტით გავზრდით.

გეგმის ზევით გამოვიმუშავებთ 100 ათასი მანეთის პროდუქციას. 1976 წლის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმას შეასრულებთ 10 დეკემბრისათვის. წინა წლოთან შედარებით შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 5 პროცენტით; წარმოების ნარჩენებისა და დანაკარგების შემცირებით დავზოგავთ ხარისხიანი ჩაის ფოთოლს 30 ტონის რაოდენობით, 10 ათას კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, 15 ტონა საწვავს და მივიღებთ 20 ათას მანეთ ზეგეგმით მოგებას.

ხანსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასთან და სპეციალისტებთან ერთად ყოველღღიური კავშირ-ურთიერთობის სამუშაოს. მათთან ერთად მოვაწყობთ ჩაის კრეფის და გადამუშავების დაწყების წინ აპრილში სეზონისათვის ფაბრიკის მზადყოფნის შემოწმებას.

კოლმეურნეობას დავუმზადებთ საჭირო რაოდენობით ნედლეულის გადასაზიდ სატრანსპორტო ყუთებსა და ოროლინთ სარეგლობაში გაოვცემთ საჭირო რაოდენობით ბრეზენტის საფარს პლანტაციაში ჩაის ფოთლის შესანახად. მათთან ერთად მონაწილეობას მივიღებთ პერიოდიული პოჭჭების შენობების და მათთან მისასვლელი გზების შეკეთებაში.

აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ფართოდ გავშლით სოციალისტურ შეჯიბრებას როგორც კოლმეურნეობასა და ფაბრიკას შორის, ისე კოლმეურნეობის ბრიგადებსა, რგოლებსა, მკრეფავებსა და ფაბრიკის საამქროებსა და წარმოების მუშებს შორის.

პრაქტიკაში დავამკვიდრებთ ნაკისრი ურთიერთვალდებულებების შესრულების ერთობლივად შემოწმებას და შედეგებს განვიხილავთ ყოველი თვის ბოლოს კოლმეურნეობის წევრთა და ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებებზე.

ვდგებით რა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დევიზით — „მკეთრად გავაუმჯობესებთ ქართული ჩაის ხარისხს“ მოვუწოდებთ რესპუბლიკის ჩაის მწარმოებელი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების მშრომელებს, მათს ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ჩაებან სპეციალურ სახალხო შეჯიბრებაში ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრი ამაღლების მისაღწევად, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონთ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

შ. ბრეგაძე — ტყიბულის ზონის ორპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შ. მიქელაძე — ორპირის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ფ. დალუნდარიძე — კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, თ. უბრეხლიძე — ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ნ. ჩიკაკაძე — კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, ზ. ჟორჟოლაძე — ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი, ვ. ლოსაბერიძე — კოლმეურნეობის პროფკავშირის თავმჯდომარე, ლ. ცქიფურიშვილი — ფაბრიკის პროფორგანიზაციის თავმჯდომარე, თ. მორჩაძე — კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მ. გოლიაძე — ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, დ. მორჩაძე — მოწინავე მეჩაიე, ა. ლომთაძე — კოლმეურნეობის ბრიგადირი, ბ. ჩაფიჩაძე — ფაბრიკის ბრიგადირი, ნ. ლომთაძე — მოწინავე მუშა.

მდიდარი ჰექტარები

მეათე ხუთწლედის პირველ წელს ზუგდიდის რაიონის ახალოფლის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია ხელმძღვანელობს, იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 10 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 ათასი კილოგრამისა.

(„კომუნისტის“ კორ.).

აქედანვე ემზადებიან

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). მეათე ხუთწლედის პირველ წელს მიეიღოთ ჩაის უხვი და ხარისხიანი მოსავალი. მიღებული პრიდუქციის თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით 10 პროცენტით შეამცირეთ — ასეთი დევიზით მუშაობენ მეათე ხუთწლედის პირველ წელს ლანჩხუთელი მეჩაიეები.

აცანის, მამათისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა მეჩაიეები ძალღონის დაუზოგავად მუშაობენ რომ პირობა შეასრულონ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების სხვლა და სასუქის შეტანა. რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აქედანვე ემზადებიან ფოთლის კრეფისათვის, იმარაგებენ კალათებს, წესრიგში მოჰყავთ პლანტაციებში მისასვლელი გზები.

ხნავენ, სხლავენ

ბაგრატიონი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის გაჩაღებული პლანტაციების ორგზა შორის ხენა, ბუჩქების სხვლა და სხვა სამუშაოები. ნაგვაზაოს კოლმეურნეობაში უკვე დამთავრებულია პირველი ხენა, ჩქარი ტემპით სხლავენ ჩაის ბუჩქებს. ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ კომპლექსური მექანიზაციის რგოლის ხელმძღვანელმა ი. დანელიამ ტრაქტორები მიმდევრად გაიყვანა და ორცვლიანი გრაფიკით ამუშავებს.

ასე ფიქრობენ ნოვატორები

ახალი შემართებით

ბოგოსვათის კოლმეურნეობის შრომითი საქმიანობა ცნობილია არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოშიც. მეცხრე ხუთწლედში სამშობლოს მისცეს 23 ათასი ტონა ჩაის ნედლეული. უს დაკალეს 5 ათასი ტონით სჯარბობს. ამ წარმატებაში ჩემი წვლილიც არის. ყოველ წელს 4 ათასი კილოგრამის ნაცვლად 6-7 ათას კილოგრამ ფოთოლს ვიღებ.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ჩვენს ხალხს დაუსახა ახალი ამოცანები კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე, მეჩაიეებსაც გვმართებს მეტი შრომა იმისათვის, რომ ვასახელოთ დედა-სამშობლო ქართული არომატული ჩაით.

ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლება ის მთაბეჭდილება და სიხარული, რაც ყრილობის მომდინარეობის დღეებში განვიცადე. უბრალო მეჩაიე ღირსი გავხდი კრემლის დიდ სასახლეში, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიმეღო ამ დიდ ფორუმში.

ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ დავრწმუნდი, რომ რასაც მეჩაიეთა პასუხისმგებლობა უფრო გაიზარდა. მთავარი რაოდენობა როდია, ჩაის ნედლეული მაღალ ხარისხიანი უნდა იყოს. ეს თავდადებული შრომის გარეშე შეუძლებელია.

საქართველოს რესპუბლიკის მეჩაიეები დიდი ამოცანების წინაშე ვდგავართ. ახალი ხუთწლედის პირველ წელს ჭვეყანას უნდა მივაცეთ 325 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ამ საერთო საქმეში მინდა ჩემი წვლილიც შევიტანო. პირადად - მოსავლელად მიმაგრებულ 0,4 ჰექტარზე მივიღო 11 ათასი კილოგრამამდე „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 7 ათასისა, მეათე ხუთწლიანი გეგმა შეასრულო 3 წელიწადში, ხოლო რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ჩაის ფოთლის ახალი ხუთწლიანი გეგმა გაანაღლოს 3,5 წელიწადში.

ენერგიულად ვშრომობთ პირობის შესასრულებლად. პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოები აგროვადებში მიმდინარეობს. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ მეათე ხუთწლედში მივაღწიოთ ახალ წარმატებებს.

ეთერ ცირამუა,

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მერგოლური, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მ ხ ო ლ ო დ საუკეთესო

მეათე ხუთწლედის პირველი წელი ჩემთვის მუდამ სამახსოვრო იქნება. ამირჩიეს სკკპ XXV ყრილობის დელეგატად. მონაწილე იყო ისეთი დიდი ფორუმისა, როგორიც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობაა, დიდი დავალება და ბედნიერებაა. ეს ბედნიერება მხოლოდ შრომამ მომაკუთვნა.

ყრილობის დამთავრების შემდეგ, როგორც ტუვიანი, ერთი სულ მქონდა და ეს ბუნებრივიც არის, მოსკოვის, ყრილობის შთაბეჭდილებები გამეზიარებინა ჩემი თანამოსაქმეებისათვის, მეგობრების, ამხანაგებისათვის.

ჩემი შრომითი საქმიანობა 1947 წლიდან იწყება. სოფლადმთავრებული კომკავშირელი ჩაის პლანტაციაში მივედი, ფოთლის კრეფა დავიწყე. ამხანაგების დახმარებით ყოველ წელს ვზრდიდი „მწვანე ოქროს“ მოსავლიანობას. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს 0,4 ჰექტარზე ვაღდებულებით უნდა მიმეღო 7 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. მაგრამ ამას როდი დავჯერდი. პლანტაციის კარგი მოვლით, ფოთლის განუწყვეტელი კრეფით კოლმეურნეობას შევემატე 10.414 კილოგრამი ხარისხიანი ფოთოლი.

ახლა მიღწეული როდია სკმარისი. კომუნისტი სამშობლოს საკეთილდღეო შრომით არ უნდა დაიღალოს. მეათე ხუთწლედში მეჩაიეთა პასუხისმგებლობა უფრო გაიზარდა. მთავარი რაოდენობა როდია, ჩაის ნედლეული მაღალ ხარისხიანი უნდა იყოს. ეს თავდადებული შრომის გარეშე შეუძლებელია.

ბოგოსვათის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

მახარაძელთა წვლილი

□ ჩაის წარმოების ერთ-ერთი დიდი რეზერვი მწვანე ჩაის ფოთლის ჰექტარობრივი მოსავლის გადიდებაა.

□ შრომაში ფართოდ უნდა დაინერგოს მცირე მექანიზაცია.

□ გახსოვდეთ, ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა პლანტაციაში იწყება და ფაბრიკაში მთავრდება.

მახარაძე. („კომუნისტის“ კორ.). სასახელოდ იშრომეს მეჩაიეებმა. მათ მეცხრე ხუთწლედში დასახული 212.950 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარეს 259.919 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

მიღწეულია სოფლის მეურნეობის სხვა დარგშიც. შარშან გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 21 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო რესპუბლიკის ვალდებულების — 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში მახარაძელთა წვლილი 10 მილიონამდე მანეთით გამოისატა.

სწორედ აღნიშნული შედეგებით რაიონი გამარჯვებული გამოვიდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და კვლავ მიეკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით აღინიშნა ნატანებისა და შრომის კოლმეურნეობების, ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და მახარაძის სატყეო მეურნეობის მშრომელთა საქმიანობა.

ახალ ხუთწლედში მახარაძელებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს.

რიტმულად... ეს მთავარია

სოხუმი. („კომუნისტის“ კორ.). აფხაზეთში ყველა ქებით ისხენიებს ონამჩირის რაიონის მახარაძის საბჭოს კოლმეურნეობის მეჩაიეს ა. ვოუბას. იგი შრომამ აამაღლა. ათეულ წლების მანძილზე ჩაის პლანტაციებში გმირულად შრომობს და კოველწლიურად 8-ათას-10 ათას ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფს.

ბეჯითმა შრომამ ამ რიგითს მეჩაიეს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ნას მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. ეს წარჩინებული ადამიანი როგორც დელეგატი მონაწილეობას იღებდა სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში.

მეჩაიე ვ. ვოუბა ახლა ახალი წარმატებებისათვის ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. მისი პირობაა ახალი ხუთწლედის პირველ წელს ისე მოუაროს ჩაის პლანტაციას, რომ მოსავლელად მიწილი ფართობზე მიიღოს 10.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

პირობის შესრულებას მოწინავე მეჩაიე იანგრიდან შეუდგა. ხელსაყრელ ამინდებში მუდამ ჩაის პლანტაციებშია, საღამოობამდე უვლის ჩაის ბუჩქს. მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება ყველაზე ადრე ხარისხოვნად დაამთავრა, ნაკვეთში საჭირო რაოდენობით შეიტანა სასუქი. ზოგან საადრენაყო არხები მიწით იყო ამოვსებული. ყველა ასეთი არხი წესრიგში მოიყვანა. ამ დღეებში დაამთავრა ბუჩქების გასხვლა, ახლა დამატებით შეაქვს სასუქი, აფხვიერებს ნიადაგს. ემზადება ფოთლის კრეფისათვის.



ᲒᲐᲤᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲡᲝᲩᲣᲛᲨᲘ.

Ი. ᲯᲝᲩᲝᲜᲘᲫᲔᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲕᲐᲣᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲕᲘᲜᲪᲐᲫᲔ — ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ გუშინწინდელ ნომერში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება — საშიშ დამნაშავეთა დაკავებისახ გამოჩენილი ვაუკაცობისა და თავდადებისათვის მილიციის ლეიტენანტის რომან ლეონ-ძე გვინცაძის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

1974 წლის თებერვლის ერთ ღღეს საშშენებლო მექანიკისა და სეისმური მედეგობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშამოსამსახურეთა საერთო კრება გაიმართა. განიხილავდნენ რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ინსტიტუტის თანამშრომელთა წვლილს. სახალხო მეურნეობის ყველა უბანს ესაჭიროებოდა ჯანსაღი შევსება. საქმის მცოდნე, მართალი, პატიოსანი ვაჟკაცები ესაჭიროებოდათ მილიციის ორგანოებს, და სწორედ ამ კრებაზე გადაწყვეტა იქნებოდა რ. გვინცაძეს კანონიერების სადარაჯოზე დამდგარიყო.

საზრიანობით, გამჭრიახობითა და გამბედაობით ახალგაზდა მუშაკმა თავიდანვე მიიქცია ორგანოს ძველი, გამოცდილი მუშაკების ყურადღება. ამ უნარის გამომუშავებაში, გამოცდილების დაგროვებაში ახალგაზდა რომან გვინცაძეს უანგარო დახმარება გაუწიეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ დამიანე ალანიამ, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა უშანგი ჭიჭინაძემ, გამობრძმედილმა ჩეკისტმა მიხეილ გომართელმა...

თბილისი დიდი ქალაქია და სწორედ ასეთ ქალაქშია ძნელი და რთული დამნაშავის კვალის მიგნება. მაგრამ რომანს შინაგანი ინტუიცია და ალღო არ ღალატობს, რომ საზოგადოებისათვის საშიშმა ნანირალამ დიდხანს ვერ იბოგინოს და იპარპაშოს.

რომან გვინცაძე სისხლის სამართლის სამძებროს გამობრძმედილ მუშაკებს სულ მოკლე დრობი ამოუდგა მხარში. ამიტომ არის, რომ მას მეტად რთულ და მძიმე დავალებებს ანდობენ, რომლებიც ეთასნაირ ფათერაკს შეგამოხვევს.

... შარშან აგვისტოში უგზოუკეთოდ გაქრა მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნოდარ თოფურია. რამდენიმე კვირის შემდეგ მისი გვამი თბილისის გარეთ, ხევში იპოვეს. ჯან-ღონით აღსავსე ახალგაზრდა ავტომატის ტყვიით და დანით იყო მოკლული. რამდენიმე დღის შემდეგ მკვლელობის მონაწილენი შეიპყრეს. მხოლოდ ბანდის მეთაურს — ავტომატითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულ ალეკსანდრე ანდღულაძეს ვერ მიაგნეს. რადაც უნდა დამჯდარიყო, უნდა უვნებელეყოთ განსაკუთრებით საშიში ბანდიტი.

უკანასკნელი წლების მანძილზე თბილისის სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებს ასეთი ძნელი ოპერაცია არ ახსოვთ. მან მიაგნეს ბოროტმოქმედის კვალს. ბანდიტის დაკავება დაეკალა ახალგაზრდა ინსპექტორებს რომან გვინცაძეს და ნუგზარ მგალობლიშვილს. ოპერაციის უშახვი ჭინჭაძე ხელმძღვანელობდა.

რომდენი სიფრთხილე, მოსაზრებულობა, მამაცობაა საჭირო, რომ ავტომატითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული ბანდიტი თბილისის ხალხმრავალ ქუჩებში შეიპყრო.

ლესელიძის ქუჩაზე ბანდიტი და სამეზბროს ორი ინსპექტორი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. ტროტუარზე მკვლელს ინსპექტორებმა გზა „თავაზიანად“ დაუთმეს, მაგრამ წამიც და სამბოს ილეთით მიწაზე დასცეს. ლაბადის ქვეშ მას ავტომატი აღმოაჩნდა, ბოლო ჯიბეში — ხელყუმბარები. შერკინების ადგილას გამვლელებმა ვერც კი შენიშნეს, თუ რა მოხდა ასე თვალისდახამხამებაზე.

განსაკუთრებულად საშიში დამნაშავის შეპყრობისათვის რომან გვინცაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმას ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“.

... თბილისში შუადღისას თარხნიშვილის ქუჩაზე ბინა გაძარცვეს. ავადმყოფ ბინის პატრონს გული გაუსკდა და გარდაიცვალა. მძარცველებმა დანაშაულის ადგილზე არავითარი კვალი არ დატოვეს. ოღონდ ეს იყო — ქუჩაში გამვლელები ამბობდნენ, სადარბაზოს წინ წითელი ფერის „ძიგული“ იდგაო. ეს იყო და ეს. ამ ამბავმა თბილისში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისის სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი რომან გვინცაძე დამნაშავეთა კვალს დაადგა. მან თვითმფრინავის ბილეთი აიღო და პიტიგორსკში გაფრინდა, საითკენაც მიდიოდა ბანდიტური თავდასხმის ძაფი.

...სამეზბროს ინსპექტორი პიატიგორსკში ვინმე ალა ასლანოვას სახლის უკან იდგა. და აი გამოჩნდა მკვლელი და ხულიგანი, შინაგან საქმეთა მუშაკებისათვის ცნობილი ბანდიტი პაატა ჩლაიძე. იგი, რომ იტყვიან, თავით ფეხამდე შეიარაღებული იყო. მან ერთი გაელვება, გასროლაც მოასწრო და უკან, ქუჩისკენ გაიქცა, ჩიტა მანქანაში, რომელიც იქვე ელოდა და კვლავ განაგრძო სროლა.

პიატიგორსკის ხალხით გაჭედილ ქუჩებში რომან გვინცაძე ბანდიტს მანქანით დაედევნა. ორივე ავტომობილი მანქანებით გაჭედილ გზაჯვარედინს მიაღწია. პ. ჩლაიძე მანქანიდან გადმოხტა და სროლით გაიქცა ხახვაებისაკენ. ბანდიტი ღობეს მიეფარა და კვლავ ატეხა სროლა. თერმეტჯერ ისროლა, მაგრამ...

სროლა მიწყდა... ჩიხში მომწყვდეული პ. ჩლაიძე თავის მოკვლას ცდილა და მუცელში იყო დაჭრილი. იგი სისხლისაგან იცლებოდა...

შემდეგ დაკითხვისას ბანდიტი იტყვის: მე ინსპექტორს ვუმიზნებდი, იგი კი პაერში ისროდა, მაინც არ შეშინდა და არ მოეშვაო...

და აი სწორედ ამ ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის დაჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით მილიციის ლეიტენანტი რომან გვინცაძე.

ამჟამად რომანი კვლავ რთული ოპერატიული დავალებებით არის წასული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მის დაბრუნებას მოუთმენლად ელიან ოჯახის წევრები და განსაკუთრებით მისი პატარა ქალ-ვაჟი; მოუთმენლად ელიან ამხანაგები, კოლეგები, მეგობრები, ნათესავები, რომ მიულოცონ მთავრობის ეს დიდი ჯილდო.

ბ. ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲒᲘ

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲔ

ᲫᲐᲚᲐᲫ ნევშატელში (შვეიცარია) გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრებსა და ადგილობრივ „ასამეკს“ შორის. ანგარიში 25-ე წუთზე გახსნეს მასპინძლებმა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ონიშჩენკომ გაქვითა ანგარიში — 1:1.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის 8 შეხვედრა გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

აი მოსაპარეზთა წყვილები: „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“, „დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“, „არარატი“ — ცსკა, „ზარია“ — „დინამო“ მ., „კარპატი“ — „კრილია სოვეტოვ“, „შახტიორი“ — „ზენიტი“, „დნეპრი“ — „დინამო“ მნ.

თბილისის „დინამო“ დღეს უმასპინძლებს მოსკოვის „სპარტაკს“. მატჩს სჭის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ი. სერგეევკო (ხარკოვი). ეს იქნება ამ გუნდების საეუბილეო, 70-ე შეხვედრა საკავშირო პირველობებზე. მანამდე მოსკოველებმა 32 მატჩი მოიგეს, თბილისელებმა — 26, 11 ფრედ დამთავრდა.

ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე (სპორტკლუბი „განთიადი“) გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

ანგარიშით 2:1 (0:0) გაიმარჯვეს სპარტაკელებმა. თბილისელთაგან ბეთრი გაიტანა ეგანოიძემ.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: იმნაძე, გაგაშელი, კანთელაძე, ჭილაია, ებრალიძე, მინაშვილი, ებანოიძე, კოპალეიშვილი, გ. მაჩაიძე, ფალიშვილი, წერეთელი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ „Ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები: „კარატი“-„რუბინი“ — 2:0, „პახტაკორი“-„შინიკი“ — 1:0, „პამირი“-„ზვეზდა“ — 0:0, „კოლხაზჩი“-„კუზბასი“ — 1:0, „ტავრია“-სკა — 2:1, „ყუბანი“-„სპარტაკი“ ი.-ფ. — 1:0, „სპარტაკი“ ნალჩ.-„ნისტრუ“ — 0:1. „სპარტაკი“ ორჯ.-„დაუგავა“ — 2:1, „თერგი“-„მეტალურგი“—1:0.

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტის სასახლეში დამთავრდა ჩვენი დედაქალაქის პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც ჩემპიონის სახელის მოსპოვებლად რვა გუნდის 47 ტანმოვარჯიშე იბრძოდა.

მომზიდველი და საინტერესო გამოდგა სპორტის ოსტატთა პროგრამით მოსასპარეზე გოგონათა ვარჯიში. ლიდერობისათვის ებრძოლა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნინო სალუქვაძის აღსაზრდელთა — საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატის, თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის ფრიადოსანი სტუდენტის ლალი დოლიძესა (უფროსი) და 128-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელის ლალი დოლიძეს (უმცროსი) შორის მომდინარეობდა.

სპორტსმენებმა მხატვრული ტანვარჯიშის მოყვარულები მოხიბლეს რთული, ორიგინალური კომბინაციების ოსტატური შესრულებით, მუსიკალობით. შეჯიბრებას თავიდან საბოლოოდ ორი ლალი ჩაუდგა. მაგრამ შემდეგ დამაჯერებლად დაწინაურდა უფროსი დოლიძე და აბსოლუტური პირველობა მოიპოვა. მეორე ადგილზე უმცროსი ლალი გამოვიდა, მესამეზე 52-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ირინე გაბაშვილი — 43,75 ქულა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა შორის გაიმარჯვა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელმა ნინო ჭკუასელმა — 41,9 ქულა. მისი თანაგუნდელი ირინე ტურგენევა უძლეურესი იყო პირველთანრიგოსანთა დავაში — 44,25 ქულა.

გუნდურ ნათელაში გაიმარჯვა

აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპორტსკოლის კოლექტივმა.

Ი. ᲘᲣᲜᲐᲔᲕᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: თბილისის ამბოლუტური ჩემპიონი ლალი დოლიძე რგოლით ვარჯიშის დროს. ᲐᲕᲒᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲔᲚᲝᲡᲐᲠᲗᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის ველოტრეკზე დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ტური სპრინტში.

თავიდანვე კვალიფიციური შეჯიბრებები წარმატებით გაიარეს და ჩემპიონობისათვის ბრძოლას განაგრძობენ ფაკორიტები — ს. კრაკოვი, ა. იაბლუნოვსკი, ვ. სემენეკი, ო. გუდინი და სხვა. მართალ ერთად პირველობისათვის იბრძვის თბილისელი ი. ვოლკოვიც.

ᲙᲐᲢᲝᲕᲘᲩᲔᲚ ᲧᲘᲜᲣᲚᲒᲐ

ᲰᲝᲚᲔᲘ. კატოვიცეში (პოლონეთი), სპორტულ დარბაზ „რონდოში“ დაიწყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი. პირველი ღღის სენსაციას წარმოადგენდა ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონების — სსრ კავშირის ჰოკეისტთა დამარცხება პოლონეთის გუნდთან — 4:6 (0:2, 2:3, 2:1). ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დიდი აჯარობით 10:0 მოუგო გდრ-ის გუნდს, ხოლო შვეიცის ნაკრებმა — გფრ-ს — 4:1. აშშ-ისა და ფინეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3. გუშინ გვიან გაიმართა სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრებთა მატჩი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲫᲐᲚᲝᲜᲚᲝᲑᲐ. წარმატებით გამოვიდა ბერლინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე 25 წლის ლენინაკანელი მძღოლი ვართან მელითოსიანი (ქვესაშუალო წონა). მან ჩემპიონობა მოიპოვა 340 კილოგრამით, რაც მსოფლიოს რეკორდის გამეორებაა. დამატებით მისულამ ე. მელითოსიანმა მსოფლიოს უმაღლეს მიღწევას გადაკარბა აკერაში — 191 კგ. ორეულში მეორე ადგილზე გამოვიდა პეტერ ვენცელი (გდრ) — 335 კგ, მესამეზე — ეორდან მიტკოვი (ბულგარეთი) — 330 კგ. საშუალო წონაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა 28 წლის მისხაელმა ვალერი შარიმ — 367,5 კგ.

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ. 14 წლის მოსწავლემ მარია ფილატოვამ (ქალაქი ლენინსკუზნეცკი) მოიპოვა რიგის საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზი — 38,45 ქულა. მეორე ადგილზეა ვორონეჟელი ელენე დავიდოვა — 38,1, მესამეზე — მოსკოველი ლიუბოვ ბოგდანოვა — 38 ქულა.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ. მოსკოვის „კუნცევომ“ ჩელიაბინსკში დამარცხა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 32:29 და სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორი გახდა. თბილისის „ბურევესტნიკმა“ წაიგო ცსკა-სთან — 21:38 და მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

ᲨᲐᲓᲠᲐᲪᲘ. ერევანში დამთავრდა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 მოჭიდრაკე გამოდიოდა — პირველობა მოიპოვა 24 წლის ლვოველმა ოლეგ რომანიშინმა — 10,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან გულკო და ხაგონი — 9,5 ქულა თვითეული. საინტერესოა, რომ რომანიშინმა და გულკომ შეასრულეს საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა.

ᲯᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ დასავლეთ საქართველოში მზიანი ამინდი იდგა, 13 საათზე ყველაზე მეტი სითბო 24 გრადუსი ზუგდიდში, ცხაკაიაში იყო. დაწარჩენ დაბლობ რაიონებში 20-24, მთაში 18-20 გრადუსი სითბო აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოშიც უნაკლოდ მზიანი იდგა. დაბლობ რაიონებში 17-20, მთაში 13-18 გრადუსი სითბო აღინიშნა.

თბილისში მცირე წვიმა იყო. 13 საათზე თერმომეტრი 20 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

ღღეს შავი ზღვისპირა რაიონებში მცირე წვიმაა მოსალოდნელი. ბარში 18-23, მთაში 13-18 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ღამეშერაგურა ბარში 17-22, მთაში 10-15 გრადუსი სითბო.

თბილისში 20-22 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲖᲦᲕᲘᲗ

26 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ 3 ივნისამდე საინტერესოა საზღვაო მოგზაურობას აწყობს მშრომელებისათვის საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს სოხუმის მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიურო.

კომფორტული საოკეანო ლაინერი „კოლხეთი“ გაემართება სოხუმის ნავსადგურიდან. პირველი შეჩერდება გმირი ქალაქი ქერჩი. აქედან ლაინერი კურსს აიღებს გმირ ქალაქ სევასტოპოლისაკენ. ტურისტები ეწვევიან 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომართა სასაფლაოს, დაათვალიერებენ სევასტოპოლის პანორამას, მალახოვის ყორღანს, სპუნ-გორის დიორამასა და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობებს. სევასტოპოლიდან ლაინერი ფუნაით გაემართება ქალაქ ოზმაილამდე. აქედან „კოლხეთი“ კურსს აიღებს ოდესისაკენ.

გმირ ქალაქ ოდესაში ტურისტები ორ ღღეს დაჰყოფენ. ისინი ეწვევიან სამხრეთის ამ შესანიშნავი ქალაქის მუზეუმებს, დაათვალიერებენ გამოფენებსა და ისტორიულ რევოლუციურ ადგილებს.

მოგზაურები ეწვევიან ოგრეთვე იალტას, გმირ ქალაქ ნოვოროსიისს, ლეგენდარულ „მცირე მიწას“.

წარმტაცი მოგზაურობა სოხუმში დამთავრდება. (საქინფორმი).

□

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ

ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 8 აპრილი. (საკუთარი). ღღეს ტაშკენტის დროით 8 საათზე, 40 წუთსა და 20 წამზე უზბეკეთის ტერიტორიაზე იგრძნობოდა მიწის რყევა. სეისმური სადგურის „ტაშკენტის“ მონაცემებით, მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა ცენტრალურ უზბეკეთში, ყულჯუმთაუს მთების ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე. მიწისძვრის კერა დაახლოებით ოც კილომეტრ სიღრმეზე იყო.

ეპიცენტრში ბიძგების ძალამ რვა ბალს მიაღწია, ტაშკენტში — ოთხ ბალს.

ლაზლსა და ბუხარაში შენობები ნაწილობრივ დაზიანდა. მსხვერპლი არ არის.

აშხაბადი, 8 აპრილი. (საკუთარი). ღღეს აშხაბადში მოსკოვის დროით 5 საათსა და 44 წუთზე იგრძნობოდა ოთხიდან ხუთ ბალამდე ძალის მიწისძვრა ბიძგი. მას მოჰყვა მეორე, უფრო სუსტი ბიძგი. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა უზბეკეთში ტერიტორიაზე.

ძლიერი ბიძგები თურქმენეთში იგრძნობოდა დიდ ტერიტორიაზე, რომელიც სეისმოაქტიურ ზონად არ ითვლება, — ტაშაუზში, ნარჯოუში, მარში, დარღან-ათასა და სხვა ადგილებში. მიწისძვრას ნგრევა არ გამოუწვევია.

Ბ. ᲥᲕᲔᲚᲐᲫᲔ

გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სკკპ წევრი 1948 წლიდან ბუხარმ შალვას-ძე ქველაძე.

ბ. ქველაძე დაიბადა 1923 წელს ქ. ქუთაისში. 1946 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო პედაგოგიური მუშაობა — იყო საშუალო სკოლის მასწავლებელი, სასწავლო ნაწილის გამგე.

1954 წელს ბ. ქველაძე მუშაობას იწყებს საგამომცემლო სისტემაში. ორ ათეულ წელზე მეტ ხანს იგი უანგაროდ, საქმის ცოდნით და სიყვარულით ემსახურებოდა ქართული წიგნის გამოცემის კეთილშობილურ საქმეს. სხვადასხვა დროს იყო რედაქტორი, უფროსი რედაქტორი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

1974 წელს ბ. ქველაძე, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, სამუშაოდ გადაჰყავთ პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან შექმნილი ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ქართული გამოცემის სპეციალური სარედაქციო ჯგუფის რედაქტორად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა მინდობილ უბანს.

ბ. ქველაძე ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. გადმოქართულებული აქვს 20-ზე მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული წიგნი.

თავისი ღრმამშინაარსიანი ცხოვრების გზაზე ბ. ქველაძემ გამოავლინა კომუნისტისა და მოქალაქის მაღალი ღირსებები. პრინციპულობამ, კეთილსინდისიერებამ, ჰუმანურობამ და დაკისრებული საქმისათვის ღრმა პასუხისმგებლობამ მას კოლეგებისა და მეგობრების დიდი პატივისცემა და სიყვარული მოუტანა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ქართული გამოცემის სპეციალური სარედაქციო ჯგუფის რედაქტორი

ᲑᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ-ᲫᲔ ᲥᲕᲔᲚᲐᲫᲔ

და ამ ძმამარს უცხადებს გულითადს ოჯახს.

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

□ 12 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მურმან ლებანიძე“,
12.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.00 — „საკავშირო კომკავშირული კრება“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „პეტკა კოსმოსში“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.35 — „ჩვენი ინტერვიუ“,
17.55 — „კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრიდან — ფერადი გამოსახულებით,
19.00 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.15 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — საესტრადო კონცერტი — „სიმღერები კოსმოსზე“,
20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.55 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ვარსკლავეთის წუთი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — გადაცემა — „რუსთაველის საბელობის საბელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები მოსკოვში“.

□ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

10.30 — სამეცნიერო პოპულარული ფილმი „შჩაპოვის კომპლექსი“ — (ქართულ ენაზე),
11.40 — მხატვრული დოკუმენტური ფილმი „ვარსკლავეთის წუთი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.45 — ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“,
15.20 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა „მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიაში“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.20 — კინონარკვევი „მშენებლები“ (ქართულ ენაზე),
16.30 — მოსწავლეთათვის ინგლისური ენა,
17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ბაღი“,
17.55 — განცხადებები,
18.45 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“,
19.25 — „ჩვენი წერილების ტელეფოკუსი“,
19.45 — „გლობუსი“ — ფერადი გამოსახულებით,
20.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მზიანეთი“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი „უკრავს თენგიზ ამირეჯიბი“ (ფერადი გამოსახულებით),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში — ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის III პერიოდი (გადმოცემა პოლონეთიდან),
23.05 — „სპორტული მიმოხილვა“,
23.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში — საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ნაკრები გუნდების შეხვედრა (გადმოცემა პოლონეთიდან).

□ 14 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

10.30 — „მუსიკალური ამონეტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ესპანეთი — 1974“,
11.55 — ქართული მხატვრული ფილმი „წუთისოფელი“,
17.05 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კოლხიდა — 608“,
18.45 — „ახალგაზრდა დიდება“ — სატელევიზიო ჟურნალი,
19.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგონებები“,
19.40 — „ღრმა პრობლემებზე ფიქრით, დროის კანონი“,
20.25 — ქართული სატელევიზიო ფილმი „საგასტროლო ქრონიკა“ — პრემიერა, (ფერადი გამოსახულებით),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — გუნდური პირველობა საბჭოთა კავშირის თასზე ჭიდრაკში. (ვიდეოჩანაწერი).

□ 15 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მიხეილ ჭიაურელი“,
11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ფერისცვალება“,
18.00 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. ფინეთისა და შვეიცის ნაკრები გუნდების შეხვედრის III პერიოდი (გადმოცემა პოლონეთიდან),
18.40 — მოსწავლეთათვის — „მუსიკალური გასაღები“ — გაძერთობით — ფერადი გამოსახულებით,
19.10 — ქართული სატელევიზიო-დოკუმენტური ფილმი — „ბერიძეების ოჯახი“,
19.20 — „ჩვენი კომენტარი“, — მილოთონთა ლენინური უნივერსიტეტი (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — „ოქროპირი“ — სატირულ - იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი,
20.40 — „საერთაშორისო დღიური“,
21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.45 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში — ჩეხოსლოვაკიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების შეხვედრის III პერიოდი (გადმოცემა პოლონეთიდან),
22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.45 — „ყონცერტი,
23.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში — საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შეხვედრა (გადმოცემა პოლონეთიდან).

□ 16 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მშობლიური მიწის მადლი“,
10.45 — X კლასელთათვის — ფიზიკა,
11.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ალმასაყი“
12.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი — „ბამი“,
17.00 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
17.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხევსურეთი“,
18.25 — მოსწავლეთათვის — „პიონერთა წინამძღოლი“,
18.50 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ ხაუნჯს“,
19.20 — ქართული ხალხური სიმღერები,
19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.15 — „მეცხრე სტუდია“ — სტუდიაში — პოლიტიკური მამამხილელი — ვ. ზორინი (გადმოცემა მოსკოვიდან),
21.15 — ეკრანზეა ფილმები ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — „ვ. ურჯუმელაშვილი — „მოსკოვი ქვეყნად ერთია“, დასასრული — ახალი ამბები.

□ 17 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

10.30 — ნახატი ფილმები „როგორ გაფრინდა მარსზე მგელი“ და „ბებერი მგელი“ და ახალგაზდა ბუ-ფაკი“,
11.30 — „მუსიკალური პროგრამა „ბიბლიოთეკა“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „შეეგისწავლოთ ქართული“,
12.45 — დოკუმენტური ფილმი — „ლენინური ადგილები ლენინგრადში“,
12.55 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა,
13.55 — „შაბათობის ღიღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
14.05 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო - პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.35 — „შაბათობის ღიღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.45 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (გამეორებით),
16.05 — „თბილისი და თბილისელები“ — სატ